# *წინადადებები აფხაზეთის სტატუსის შესახებ*

## *ზოგადი დებულებები*

1. აფხაზეთი ფედერალური ხელშეკრულების საფუძველზე შედის საქართველოს შემადგენლობაში. ხელშეკრულებაში განისაზღვრება ფედერალური ხელისუფლებისა და აფხაზეთის კომპეტენციები. ხელშეკრულება გახდება საქართველოს კონსტიტუციის შემადგენელი ნაწილი. საქართველოს კონსტიტუციის ამ ნაწილში ცვლილებების შეტანა მოხდება მხოლოდ აფხაზურ მხარესთან წინასწარი კონსულტაციებით და ძალაში შედის აფხაზეთის პარლამენტის მიერ მისი მოწონების შემდეგ.

2. ორივე მხარე აღიარებს, რომ ფედერალური კავშირი არის დანაწილებულის გამთლიანების და არა ერთიანის დანაწილების საშუალება. რადგანაც „ქორწინების დროს განქორწინებაზე არ ლაპარაკობენ", ხელშეკრულება (როგორც საქართველოს კონსტიტუციის ნაწილი) არ შეეხება ფედერალური კავშირიდან გასვლის საკითხს.

3. აფხაზეთს გააჩნია კონსტიტუციის დამდგენი ძალაუფლება და, მაშასადამე, მისი ავტონომია არ არის წარმოებული ცენტრალური სახელმწიფოს ნებისაგან. აფხაზეთის ხელისუფლება დაეფუძნება ლეგიტიმაციის დამოუკიდებელ წყაროს, ხოლო მისი სახელმწიფო სტრუქტურები აირჩევა აფხაზეთის მოსახლეობის მიერ.

4. აფხაზეთი არის ერთიანი ქართული სახელმწიფოს წევრი და არა მისი ნაწილი (როგორც ეს ავტონომიების შემთხვევაშია). შესაბამისად, აფხაზეთის მართლწესრიგი არის არა დელეგირებული მართლწესრიგი, არამედ სახელმწიფოს „წევრი-მართლწესრიგი". აფხაზეთს ცენტრი არ „აძლევს" კომპეტენციებს, რადგან ის ვინც რამეს „იძლევა", მას ასევე შეუძლია მიცემულის „წართმევა".

5. ეთნიკურად აფხაზი განიხილება არა როგორც უმცირესობა, არამედ როგორც ქართული სახელმწიფოს ჩამომყალიბებელი ერთ-ერთი ერი.

6. ქართულ-აფხაზური ურთიერთობა დაეფუძნება „ნონ-ცენტრალიზაციის" პრინციპს. ეს პრინციპი გამორიცხავს ისეთი ინსტანციის არსებობას, რომელსაც თავისი სურვილის მიხედვით შეუძლია სახელმწიფო უფლებამოსილებათა დე- ან რეცენტრალიზაცია. ქართული მხარე აღიარებს აფხაზეთის უფლებებს კომპეტენციათა განსაზღვრულ სახეებზე. თბილისსა და სოხუმს შორის ურთიერთობა არ გამორიცხავს იერარქიას, მაგრამ ამ ურთიერთობისათვის უცხო იქნება „ცენტრი – პერიფერიის" მოდელი.

7. ქართული მხარე ითვალისწინებს აფხაზთა რეგიონალური იდენტურობის გრძნობას, რომელიც ეფუძნება მოსახლეობის დანარჩენი ნაწილისაგან გამორჩეულობის შეგნებას. ქართული სახელმწიფო იქნება აფხაზთა კულტურული თვითმყოფობის, ენის, ისტორიის, ეროვნული იდენტურობის დაცვის გარანტი. საქართველო აღიარებს და დაიცავს ფედერალურ პრინციპს: „ერთიანობა მრავალფეროვნებაში" და ხელს შეუწყობს აფხაზთა კულტურულ განვითარებას. თავის მხრივ, აფხაზეთის ხელისუფლება

ე.წ. პოზიტიური დისკრიმინაციის სისტემა, რომელიც გულისხმობს ეთნიკური აფხაზების მიმართ განსაკუთრებული ხელშეწყობის პოლიტიკის გატარებას. ამასთანავე, ეს სისტემა უნდა გამორიცხავდეს უმრავლესობის კანონიერი უფლებების დარღვევას, ხოლო „უმცირესობის კარგად ყოფნა" არ უნდა ნიშნავდეს „უმრავლესობის ცუდად ყოფნას". ამ სისტემამ ასევე, არ უნდა წაახალისოს აფხაზების თვითიზოლაციონალიზმი, ხელი არ უნდა შეუშალოს სამუშაო ძალის თავისუფალ გადაადგილებას (როგორც საბაზრო ეკონომიკის განვითარების აუცილებელ პირობას) და ა.შ.

8. ფედერალურ კავშირში გაერთიანებით აფხაზეთი თანახმაა, რომ მთელი რიგი კომპეტენციები გადაეცეს ცენტრს და იგი, მაშასადამე, თმობს კომპეტენციათა ნაწილს. მაგრამ რასაც აფხაზეთი „დაკარგავს" კომპეტენციების მოცულობის თვალსაზრისით, მოიგებს მას სივრცეში. კერძოდ, აფხაზეთი მონაწილეობას მიიღებს სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებაში მთელი ქვეყნის მასშტაბით. აფხაზეთი ღებულობს არა მარტო ავტონომიას, არამედ ის ასევე იღებს პასუხისმგებლობას საერთო-ქართული სახელმწიფოს მართვაზე საქართველოს პარლამენტის მეორე პალატაში, საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებაში, სასამართლო ხელისუფლებასა და კონსტიტუციურ მართლმსაჯულებაში მონაწილეობით. ამ მონაწილეობის ფორმები განისაზღვრება მხარეთა შორის მოლაპარაკების პროცესში.

9. ფედერალურ კავშირში გაერთიანებით აფხაზეთს ეძლევა უფრო ფართო ბაზარზე გასვლის, ცენტრალური ხელისუფლების ფინანსური რესურსების გადანაწილებასა და საერთაშორისო ურთიერთობებში მონაწილეობის პერსპექტივა და სხვა.

10. აფხაზეთი მონაწილეობს ერთიანი სახელმწიფო ნების ფორმირების პროცესში საქართველოს პარლამენტის მეორე პალატის მეშვეობით. ამ პალატაში აფხაზეთის წარმომადგენლობის საკითხი განისაზღვრება მხარეთა შორის მოლაპარაკების პროცესში. საქართველოს პარლამენტის მეორე პალატაში აფხაზეთის წარმომადგენლების არჩევა მოხდება ან უშუალოდ აფხაზეთის მოსახლეობის მიერ, ან აფხაზეთის პარლამენტის მიერ, ან მეორე პალატაში წარმოდგენილი იქნებიან აფხაზეთის მთავრობის (აღმასრულებელი ხელისუფლების) წევრები.

11. ქართული მხარე უშვებს იდენტიფიკაციის სამსაფეხუროვანი სისტემის არსებობას, როდესაც ინდივიდმა შეიძლება საკუთარი თავი განიხილოს ჯერ ფედერაციის სუბიექტის და, მხოლოდ ამის შემდეგ, ფედერაციის მოქალაქედ. აფხაზური მხარე, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მოსახლეობაში ცენტრალური ხელისუფლებისადმი ლოიალური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას.

12. აფხაზეთის კონსტიტუცია უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებული დემოკრატიის, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს, რესპუბლიკანიზმის იდეებს.

13. აფხაზეთის ტერიტორიული საზღვრების შეცვლა მოითხოვს საქართველოს პარლამენტის და აფხაზეთის პარლამენტის თანხმობას.

13. აფხაზეთის რეგიონალური იდენტურობის პატივისცემასა და „მრავალფეროვნების ერთიანობაში" პრინციპის დაცვასთან ერთად, მხარეები აღიარებენ სახელმწიფოს ჰომოგენურობის განსაზღვრული სტანდარტების დაცვის აუცილებლობას. აფხაზეთის კონსტიტუცია უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებული დემოკრატიის, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს, რესპუბლიკანიზმის იდეებს.

14. აფხაზეთის ტერიტორიული საზღვრების შეცვლა მოითხოვს საქართველოს პარლამენტის და აფხაზეთის პარლამენტის თანხმობას.

15. საქართველოს ფედერალურ ხელისუფლებასა და აფხაზეთს შორის კომპეტენციები გადანაწილდება არა პოლიტიკურ ინსტიტუტებს შორის (როგორც ესაა ანგლო-ამერიკულ სისტემებში), არამედ საქართველოსა და აფხაზეთის სახელმწიფო დონეებს შორის (ევროპული კონსტიტუციების მოდელი). საქართველოს ხელისუფლება არ ქმნის აღმასრულებელ ორგანოებს, რომლებიც თავის თავზე აიღებენ აფხაზეთში ფედერალური სამართლის შეფარდების ფუნქციას. ფედერალური სამართლის შეფარდების ახორციელებენ აფხაზეთის სახელმწიფო სტრუქტურები.

16. საქართველოს კონსტიტუციით განისაზღვრება კომპეტენციების გადანაწილების შემდეგი სისტემა: ა) ფედერალური ხელისუფლების კომპეტენციები; ბ) აფხაზეთის კომპეტენციები; გ) კონკურირებადი კომპეტენციები; დ) ერთობლივი კომპეტენციები. კომპეტენციები, რომელიც კონსტიტუციით არ განეკუთვნება საქართველოს გამგებლობას, რჩება აფხაზეთის გამგებლობაში.

17. საქართველოს დედაქალაქში – თბილისში, აფხაზეთს ეყოლება თავისი წარმომადგენლობა, რომელიც ხელს შეუწყობს როგორც ფორმალურ, ასევე არაფორმალურ კავშირებს ~~ფედერალურ ხელისუფლებასა და ფედერაციის~~ სუბიექტს შორის პოლიტიკის, მართვის, ეკონომიკის და კულტურის სფეროში. ეს წარმომადგენლობა, არსებითად, იქნება აფხაზეთის ლობი საქართველოს დედაქალაქში. წარმომადგენლობის წევრებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ საქართველოს პარლამენტის მეორე პალატის სამუშაო ორგანოთა საქმიანობაში.

გიორგი ხუბუა

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის მ/შ, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი